



## 2018 წლის 28 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე კანდიდატების

### ეთიკის პრინციპები

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატები, ვაცნობიერებთ რა მაღალ პასუხისმგებლობას საქართველოს სახელმწიფოს, მისი მოქალაქეებისა და მათი მომავლის წინაშე, ვისწრაფვით რა ქვეყნის მშვიდობიანი და დემოკრატიული განვითარებისკენ, ვაღიარებთ რა არჩევნების კანონისა და ეთიკური პრინციპების შესაბამისად ჩატარების მნიშვნელობას,

ვადასტურებთ რომ დავიცავთ საქართველოს კანონდებლობას:

1. პატივს ვცემთ და ვაღიარებთ კანონის უზენაესობას, ვიმოქმედებთ საქართველოს კონსტიტუციის, კანონმდებლობის, დემოკრატიული მმართველობის პრინციპების და საზოგადოების ინტერესების დაცვით;
2. საქმიანობას ვაწარმოებთ, ეთნიკური, რელიგიური, გენდერული თუ სხვა ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე;
3. არ გამოვიყენებთ სიძულვილის ენას, ქსენოფობიური ან მუქარის შემცველ გამონათქვამებს;
4. ხელს შევუწყობთ მშვიდობიან საარჩევნო გარემოს, არ მივმართავთ ძალადობას და არც მოვუწოდებთ მისი გამოყენებისკენ.

ასევე, ვთანხმდებით, რომ 2018 წლის 28 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების წინასაარჩევნო კამპანიის წარმართვისას:

1. ხელს არ შევუშლით კონკურენტების წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიებებსა და სააგიტაციო მასალის გავრცელებას;
2. განზრახ არ გავავრცელებთ ყალბ ინფორმაციას სხვა კანდიდატების შესახებ;
3. ვაწარმოებთ ინკლუზიურ საარჩევნო კამპანიას, რომელში ჩართვის შესაძლებლობაც თანაბრად ექნებათ ქალებს, ახალგაზრდებს და მოწყვლად (დაუცველ/ნაკლებად დაცულ) ჯგუფებს;
4. არ გამოვიყენებთ ადმინისტრაციულ რესურსებს. არ ვეცდებით ამომრჩევლების მოსყიდვას და მათ დაშინებას;
5. ვაწარმოებთ საგნობრივ, პროგრამაზე და გეგმებზე დამყარებულ დებატებს და თავს შევიკავებთ პიროვნული შეურაცხყოფისგან.